ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია

მზე ჩემს ფანჯარას დააშტერდა და თავისი სხივები ისე მძლავრად დააჭირა ჩემს სახეს, თვალის გახელა გამიჭირდა. ტელევიზორის უსიამო შიშინი მომესმა. შევიშმუშნე. თავს მშვიდად, დაცულად ვგრძნობდი. რისი უნდა შემშინებოდა? ვიწექი ჩემს საწოლში. სიმყუდროვეს მიქმნიდა კედლები, საიდანაც ჩემი წინაპრების მომღიმარი სახეები დამცქეროდა. სასადილო ოთახიდან ბებიას გამომცხვარი ნუგბარის სუნი ჩემს ოთახში "იპარებოდა" და კიდევ ერთ მშვიდ, ლამაზ, სითბოთი აღსავსე დღეს მპირდებოდა. ტელევიზორი ისევ შიშინებდა. ავწრიალდი. მეორე ოთახში თითის წვერებით გავედი. არც ნუგბარი იყო და არც ბებოს ჩვეული მზრუნველობა.

_ბებო, რა მოხდა?! პასუხი არავინ გამცა. ყველა შავ-თეთრ ტელევიზორს მისჩერებოდა. გაოცებულმა, რაღაცით დამძიმებულმა ტელევიზორისკენ თავი ნელა შევატრიალე. შიში ვიგრძენი. თვალებზე ნისლი გადამეკრა...

ფეხშიშველი ვიდექი გახურებულ, დამსკდარ ასფალტზე. შუშის ნატეხები ეყარა. ირგვლივ ქაოსი, სისხლი და ქარში აფრენილი გაზეთის ნაფლეთები. კუთხეში ქალი ჩვილს ამშვიდებდა და ცრემლიან თვალებს მალავდა. გავშეშდი. ეს ქალი ხომ მე ვიყავი. ძმა ძმას დასტიროდა, გულში იხუტებდა, ცას შებღაოდა და ის ძმაც მე ვიყავი. ვიღაცა გარბოდა, ხმამაღლა იცინოდა, იქნებ ტიროდა... ვიცი, რომ ისიც მე ვიყავი. ნამსხვრევები ფეხში მესობოდა. მტკიოდა. მაჟრჟოლებდა. მეშინოდა. მაინც წინ ვიწევდი. ქარი აფრიალებდა გაზეთის ნაგლეჯებს, ჩემი სახლი კი იწვოდა. ქარი აფრიალებდა შეტრუსულ ფოთლებს და ჩემი უზრუნველი, ბედნიერი ბავშვობა სადღაც შორს რჩებოდა. მივრბოდი, ვეცემოდი, ვდგებოდი, მივიწევდი, ისევ მივრბოდი და როდესაც სახით მიწას დავეხეთქე, აღარც მიფიქრია წამოდგომა. როცა იმედი ჩაკვდა ჩემში, მაშინ მოვიდა შველა. თბილი ხელი, სითბოჩამდგარი თვალები უცნობი ადამიანისა. მივენდე. წამოვდექი. კალთა დავიფერთხე. ჯერ კიდევ დაბნეულად, მაგრამ მაინც გავუღიმე. იმედმა გამათბო. სხვებთან ერთად ვიჯექი ერთ დანჯღრეულ მანქანაში და მივემართებოდი ჩემი მხსნელი ხიდისკენ. ბოლო პუნქტი და მე არასოდეს შემეშინდებოდა... მანქანას აჩერებენ... მხოლოდ ერთი გოგო ჩაჰყავთ: ქერა, ლამაზი, გამხდარი, ათრთოლებული, შეშინებული... და ღმერთო, ესეც ხომ მე ვიყავი!..

_ნუ გეშინია, ბებო! გამოვფხიზლდი. ფეხშიშველი ვიდექი შავ-თეთრი ტელევიზორის წინ. ბებია მომიახლოვდა. გულში ჩამიკრა. მე კი მის დანაოჭებულ და ძალიან ძვირფას ხელს იმედით დავეწაფე.

მ ზ ე ა მ ო დ ი ო დ ა დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ო დ ა...

ელენე ჯგუშია IX კლასი